



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, განათლების საფეხური

ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია, საბაკალავრო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დასახელება
შპს კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 12 თებერვალი, 2024 წელი

დასკვნის ჩაბარების თარიღი 29 მარტი, 2024 წელი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	8
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	8
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	16
3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	22
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	25
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	33

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შ.პ.ს. კავკასიის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	საულიუს ვასარევიჩიუსი, ვილნიუსის გედიმინასის ტექნიკური უნივერსიტეტი, ლიტვა
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ავთანდილ თავხელიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ლევიშვილი, შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ვაჟა კელიხაშვილი, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მიითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Energy and Electrical Engineering
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინჟინერიის ბაკალავრი ენერგეტიკასა და ელექტროინჟინერიაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0713 ელექტრობა და ენერჯია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/ შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები)	-

²თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

³(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სასწავლო პროგრამა არის შესაბამისი, დროული და მნიშვნელოვანი; იგი ამზადებს ბაკალავრიატის სტუდენტებს, რომლებიც ფლობენ ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიისთვის საჭირო აუცილებელ უნარებს. მაგრამ საჭიროა ლაბორატორიული აღჭურვილობის დამატებითი განვითარება.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებას ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის მიმართულებით, გააჩნია კარგად დასაბუთებული ფუნდამენტური პრინციპები და ამისათვის საჭირო სასწავლო კურსები. სასწავლო პროგრამა არის შესაბამისი, დროული და მნიშვნელოვანი; იგი ამზადებს ბაკალავრიატის სტუდენტებს, რომლებიც ფლობენ ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიისთვის საჭირო აუცილებელ უნარებს. უნივერსიტეტი საკმაოდ აღიარებულია მაღალ საგანმანათლებლო დონეზე და ეფექტურად თანამშრომლობს სხვადასხვა პარტნიორებთან.

სასწავლო პროგრამა არის შესაბამისი, თანამედროვე და კარგად განხორციელებული. აქ ნათლად ვლინდება შესაბამისობა ენერგეტიკასა და ელექტროინჟინერიასთან. ლაბორატორიული აღჭურვილობის ბაზა მეტ განვითარებას საჭიროებს. უნივერსიტეტს აქვს კარგი საბიბლიოთეკო რესურსები, რაც ხელს უწყობს სტუდენტებსა და პერსონალს. პროგრამა უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსებით, მაგრამ აკადემიურმა პერსონალმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სამეცნიერო პუბლიკაციებს.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

▪ რეკომენდაციები

- სტუდენტების მიერ შესრულებული ლაბორატორიული სამუშაო მითითებული უნდა იყოს სილაბუსში.
- ლაბორატორიული აღჭურვილობის ბაზა საჭიროებს გაუმჯობესებას, განსაკუთრებით ელექტრო მანქანების ლაბორატორია და ქარისა და მზის ენერჯის ლაბორატორია.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- ყველა სასწავლო კურსი არის 5-6 ECTS კრედიტიანი. სამომავლოდ, სასურველია, რომ უფრო მნიშვნელოვანი სასწავლო კურსებისთვის (რომლებიც უკავშირდება ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას და მოიცავს სავარჯიშოებს ან/ და ლაბორატორიულ სამუშაოებს ან/ და საკურსო ნაშრომს) გამოიყოს 9 ECTS, ხოლო 3 ECTS საკმარისი იქნება ნაკლებად მნიშვნელოვანი კურსებისთვის (მაგალითად, თუ მოცემული კურსის სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის მჭიდრო კავშირი არ არის).
- სასწავლო პროგრამის დაწყების შემდეგ ჩაატარეთ შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, პროფესიული ასოციაციები და ა.შ.) გამოკითხვები პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ.
- მუდმივად განაახლეთ ტექნიკურ/ საინჟინრო სასწავლო კურსებში გამოყენებული ლიტერატურა.
- უნივერსიტეტს ერაზმუსის ფარგლებში ფართო ურთიერთობა აქვს უცხოურ უნივერსიტეტებთან. ერაზმუსის თანამშრომლობა ასევე უნდა განვითარდეს ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის სასწავლო პროგრამებისთვის.
- სასურველია, გაფორმდეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები (ან ხელშეკრულებები) ენერგეტიკის დარგის დაწესებულებებთან, რომლებსაც სურთ ამ კონკრეტული პროგრამის სტუდენტების მიღება.
- უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს სტუდენტური თვითმმართველობის ცნობიერება.
- „აკადემიური წერის“ კურსის წარმართვისთვის აუცილებელია ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის ტერმინოლოგიის და მისი შესატყვისი ინგლისური ტექნიკური ტერმინოლოგიის მცოდნე ლექტორი.
- აკადემიურმა პერსონალმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სამეცნიერო პუბლიკაციებს. მნიშვნელოვანია პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიური პერსონალმა ნაშრომები გამოაქვეყნონ ისეთ კვლევით ჟურნალებში, რომლებიც ინდექსირებულია საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში.
- სასურველია, გაფართოვდეს სტუდენტების/ კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁴**

-

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოცემულ ხუთ რეკომენდაციაზე. ექსპერტებმა გააანალიზეს უნივერსიტეტის პოზიცია და შეთანხმდნენ, რომ სამი რეკომენდაცია (სასწავლო კურსის კრედიტებთან დაკავშირებით; „აკადემიური წერის“ კურსთან დაკავშირებით; აკადემიური პერსონალის პუბლიკაციებთან დაკავშირებით) შეიძლება წარმოდგენილი იყოს რჩევების სახით. დანარჩენი ორი რეკომენდაცია (ლაბორატორიული სამუშაოების შესახებ სილაბუსში; ლაბორატორიული აღჭურვილობის ბაზასთან დაკავშირებით) უცვლელი რჩება. უნივერსიტეტი მათ თავის პოზიციაში არ აპროტესტებდა.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზნები მკაფიოდ განსაზღვრული, კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური და დროში გაწერილია. გამოიკვეთა სამი ძირითადი მიზანი:

- უზრუნველყოს სტუდენტები ღრმა ცოდნით ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის შესახებ, რაც მოამზადებს მათ შემდგომი განათლებისთვის სამაგისტრო პროგრამებზე ან/და დასაქმებისთვის შესაბამის სფეროში;
- მისცეს სტუდენტებს მათემატიკის, ელექტროობისა და ენერგეტიკის ფუნდამენტურ თეორიებსა და პრინციპებზე დაფუძნებული განათლება, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს განვითარდნენ პროფესიულად და საკუთარი წვლილი შეიტანონ დარგის განვითარებაში;
- მოამზადოს მაღალი დონის, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც ფლობს ფართო ცოდნას და პრაქტიკაზე ორიენტირებულ ტრანსფერულ უნარებს, რაც თანამედროვე ენერგეტიკის სექტორისთვის არის აუცილებელი.

პროგრამის მიზნები უკავშირდება პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც იმას ნიშნავს, რომ პროგრამის თითოეული მიზანი მიიღწევა საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგების კომბინაციით.

დადგენილია სასწავლო კურსებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის რუკა. სასწავლო პროგრამის საგანმანათლებლო მიზნები სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანმხლები დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის დროს მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, აშკარაა, რომ სასწავლო პროგრამის შემუშავება მოიცავდა შეფასებას, უკუკავშირს და რეკომენდაციებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მხრიდან. გარდა ამისა, ჩატარდა დამსაქმებლის გამოკითხვა, რომლის დასკვნები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის შემუშავებაში.

ექსპერტთა აზრით, სასწავლო პროგრამის მიზნები ზედმიწევნით ითვალისწინებს სასწავლო სფეროს თავისებურებებს, აკადემიურ საფეხურს და საგანმანათლებლო პროგრამას. ისინი ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა; ასევე, ასახავს რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის მისია;
- საბაკალავრო პროგრამა - ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია;
- მსგავს პროგრამებთან შედარებითი ანალიზი;
- გასაუბრების შედეგები;
- სასწავლო პროგრამა ხელს შეუწყობს პროგრამით დასახული მიზნების მიღწევას;
- პროგრამის მიზნები აკმაყოფილებს შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნებს;
- პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას;
- აკადემიური პერსონალი იცნობს პროგრამის მიზნებს და იცის როგორ განახორციელოს ისინი.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➤ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია დარგში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების, მათ შორის აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით. ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობას დარგის სპეციფიკასთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს.

სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს, რომ კურსდამთავრებულნი:

- აღწერს ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის ძირითად ცნებებს. მათემატიკის, ფიზიკისა და ინჟინერიის თეორიული ცოდნის საფუძველზე განსაზღვრავს დარგის თეორიულ ასპექტებს.
- აღწერს ელექტრო ქსელის და ენერგოსისტემის დიზაინს და ოპერაციულ პრინციპებს.
- ირჩევს ოპტიმალურ მეთოდებს და იყენებს მათ რთული საინჟინრო და ენერგეტიკის პრობლემების გადასაჭრელად.
- ეფექტურად იყენებს ენერგოსისტემის მრავალშრიანი მოდელირებისა და სიმულაციის მეთოდებსა და ინსტრუმენტებს.
- განსაზღვრავს სარეგო დამცავი მოწყობილობების ძირითად კონფიგურაციებს და ავითარებს საბაზისო ოპერაციულ ლოგიკას სხვადასხვა ტიპის რეგულაციებისთვის.
- იყენებს ელექტროსადგურების და ქვესადგურების კონტროლისა და მონიტორინგის სისტემებს, ასევე იყენებს ცენტრალურ SCADA/EMS ძირითად ფუნქციებს და შესაბამის ოპერაციულ ალგორითმებს.
- აფასებს განვითარებაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, მუდმივ პროფესიულ სწავლებას და ახალი ცოდნის შეგროვების მნიშვნელობას, ეფექტურად ახორციელებს ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას.
- აფასებს და იზიარებს ენერგეტიკასა და ელექტროინჟინერიასთან დაკავშირებულ ღირებულებებს, ეთიკურ და მორალურ პასუხისმგებლობებს.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის სწავლის შედეგები ავლენს ლოგიკურ კავშირს პროგრამის მიზნებთან და სასწავლო სფეროს თავისებურებებთან. ეს შედეგები ყოველმხრივ აღწერს იმ ცოდნას, უნარებს და, სადაც ეს შესაძლებელია, პასუხისმგებლობებსა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტები იძენენ პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო პროგრამა - ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია;
- მსგავსი პროგრამების შედარებით ანალიზი;
- დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის კომპეტენციების რუკა;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

○ -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

○ -
შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგი და სწავლის შედეგების შეფასება ეფუძნება კავკასიის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მეთოდს, იგი ასევე ეფუძნება ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს. სემესტრის განმავლობაში სტუდენტის ცოდნის შეფასება ეტაპობრივად ხდება, რაც მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი შეფასების ფორმები და ქულები განსხვავებულია. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება არსებობდეს შეფასების განსხვავებული ფორმები, რაც შესაბამისი პროგრამით განისაზღვრება.

განათლების ხარისხის ხელშეწყობისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უწყვეტი განვითარების ციკლი. PDCA ციკლის მიზანია გააუმჯობესოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი აქტივობები და ხელი შეუწყოს ხარვეზების დროულ აღმოფხვრას.

ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემების ანალიზისა და ძირითად პერსონალთან (ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, ხარისხის სამსახურის სპეციალისტებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან) ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე გამოვლინდა, რომ თვითშეფასების პროცესი მიზნად ისახავს პროგრამების ფარგლებში როგორც ძლიერი, ასევე გასაუმჯობესებელი სფეროების გამოვლენას. გარდა ამისა, ეს პროცესი ხელს უწყობს

განვითარების პირველადი საჭიროებების განსაზღვრას და ინტერვენციების შესაბამისად დაგეგმვას. ექსპერტთა შეფასებით, უნივერსიტეტმა განსაზღვრა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროცესი მოიცავს ამ სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების იდენტიფიკაციას, შეგროვებას და ანალიზს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება როგორც პროგრამის გაძლიერებისა და დახვეწის ინსტრუმენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო პროგრამა - ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- ინტერვიუს შედეგები;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასწავლო პროგრამის დაწყების შემდეგ ჩაატარეთ შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, პროფესიული ასოციაციები და ა.შ.) გამოკითხვები პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ- ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი იმგვარადაა შემუშავებული, რომ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტებისგან, რომლებიც ასახავს დარგის მიმდინარე ტენდენციებს და იყენებს უახლეს სასწავლო მასალებს და რესურსებს.

შესაბამისად, პროგრამაში გათვალისწინებულია 240 კრედიტი, მათ შორის:

- 1) ვიწრო დარგის სასწავლო კურსები (199 ECTS კრედიტი):
 - სავალდებულო სასწავლო კურსები -170 ECTS;
 - არჩევითი სასწავლო კურსები – 29 ECTS.
- 2) თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები (41 ECTS კრედიტი):
 - სავალდებულო საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები – 20 ECTS;
 - არჩევითი საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები – 15 ECTS;
 - თავისუფალი კრედიტები – 6 ECTS.

ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის საგანმანათლებლო მიზანია უზრუნველყოს თავისი სტუდენტები მომავალი კარიერისთვის აუცილებელი მაღალი ხარისხის განათლებითა და ტრენინგით. უნივერსიტეტის მისიის თანახმად, ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს მოაზროვნე, პასუხისმგებლიანი და წარმატებული სტუდენტები და მოქალაქეები.

დასკვნით სემესტრში სტუდენტი იმუშავებს საბაკალავრო ნაშრომზე, რომლის მიზანია მოამზადოს სტუდენტები ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის სფეროში არსებული რეალური გამოწვევებისთვის. დასკვნითი ნაშრომის ფარგლებში სტუდენტმა უნდა გამოიყენოს შეძენილი თეორიული ცოდნა და უნარები, ასევე ეფექტურად გადაჭრას მის წინაშე დასახული საინჟინრო ამოცანა.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა შემუშავდა კავკასიის უნივერსიტეტში არსებული დაგეგმვის, განვითარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის მეთოდოლოგიების გამოყენებით. პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული და ლოგიკური, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შემოაქვს პროგრამაში პრაქტიკული გამოცდილება, რაც ხელს უწყობს ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის უახლესი მიღწევების გაცნობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო პროგრამა - ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია;
- შესაბამისი კომპონენტების სილაბუსები;
- პროგრამის კომპეტენციების მატრიცა;
- მსგავს პროგრამებთან შედარებითი ანალიზი.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ -
შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტში პროგრამის შემუშავებამდე ხორციელდება დაგეგმვის ეტაპი, ახალი პროგრამის მომზადება, რაც მოიცავს ბაზრის კვლევას, შეხვედრებს პოტენციურ დამსაქმებლებთან და პროგრამის განმახორციელებელ სავარაუდო ან არსებულ პერსონალთან, რესურსების ანალიზს და კონსულტაციებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. შემუშავებულ ან რედაქტირებულ პროგრამას ფაკულტეტის წარმომადგენლები განიხილავენ და შემდეგ იგი გადის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებულ საუნივერსიტეტო ექსპერტიზას. ახალი პროგრამის დამტკიცების შემდეგ, მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტები: პროგრამის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო და დასაქმების ბაზარზე; პროგრამის კომპონენტების ერთიანობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას; პროგრამის ყველა კომპონენტის შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს აღნიშნული კომპონენტით დასახული სწავლის შედეგებისა და მიზნების მიღწევას, რაც სათანადოდ აისახება შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში; პროგრამა უზრუნველყოფილია ადამიანური და მატერიალური რესურსებით. ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის დამტკიცებისა და განახლების პროცედურა ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საფეხურს მოიცავს.

სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/ საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და ძირითადი სფეროს სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი 15 სასწავლო კურსის სილაბუსიდან და სწავლის შედეგების რუკიდან ჩანს, რომ თითოეული სასწავლო კურსის/ საგნის სწავლის ყველა შედეგი ფასდება. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დიდწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგების რუკაზე დაყრდნობით, სილაბუსში ჩამოთვლილი სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები შეესაბამება დარგის მიღწევებს, ასევე ითვალისწინებს შესაბამის დარგში უახლეს კვლევებს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე. მაგრამ სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილი კრედიტების მოცულობა არ არის ოპტიმალური. ყველა მათგანისთვის გამოყოფილი კრედიტები დიდად არ განსხვავდება: 5-6 ECTS კრედიტი. საჭიროა მეტი დიფერენცირება. ვფიქრობთ, უფრო მნიშვნელოვანი სასწავლო კურსებისთვის (რომლებიც უკავშირდება ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას და მოიცავს სავარჯიშოებს ან/ და ლაბორატორიულ სამუშაოებს ან/ და საკურსო ნაშრომს) გამოიყოს 9 ECTS, ხოლო 3 ECTS საკმარისი იქნება ნაკლებად მნიშვნელოვანი კურსებისთვის (მაგალითად, თუ მოცემული კურსის სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის მჭიდრო კავშირი არ არის). მინუსად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ სილაბუსებში ლაბორატორიული სამუშაოები არ არის მითითებული.

ტექნოლოგიური მეცნიერებების დარგში, რომელიც ენერგეტიკასა და ელექტროინჟინერიას მოიცავს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უახლესი სასწავლო მასალის/ რესურსების წარმოდგენა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ტექნიკური/ საინჟინრო სასწავლო კურსებისთვის გამოყენებული ლიტერატურის წყაროების მუდმივი განახლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის მისია;
- საბაკალავრო პროგრამა - ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- შესაბამისი კომპონენტების სილაბუსები;
- სასწავლო ლიტერატურა, სახელმძღვანელოები.

რეკომენდაციები:

- სტუდენტების მიერ შესრულებული ლაბორატორიული სამუშაო მითითებული უნდა იყოს სილაბუსში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ყველა სასწავლო კურსი არის 5-6 ECTS კრედიტიანი. სამომავლოდ, სასურველია, რომ უფრო მნიშვნელოვანი სასწავლო კურსებისთვის (რომლებიც უკავშირდება ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას და მოიცავს სავარჯიშოებს ან/ და

ლაბორატორიულ სამუშაოებს ან/ და საკურსო ნაშრომს) გამოიყოს 9 ECTS, ხოლო 3 ECTS საკმარისი იქნება ნაკლებად მნიშვნელოვანი კურსებისთვის (მაგალითად, თუ მოცემული კურსის სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის მჭიდრო კავშირი არ არის).

- მუდმივად განაახლეთ ტექნიკურ/ საინჟინრო სასწავლო კურსებში გამოყენებული ლიტერატურა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება- სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე პირთა

პროგრამაში ჩართვას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

პროგრამაზე სტუდენტების ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულების შესაბამისად:

- * ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს საშუალო განათლების მქონე ნებისმიერ პირს;
- * პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარება;
- * უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის შესახებ კანონიდან ნებისმიერი გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილი წესით;
- * ეროვნულ გამოცდებზე სავალდებულოა არჩევითი საგნებიდან მათემატიკის ან ფიზიკის გამოცდის ჩაბარება;
- * ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრამაში ჩარიცხვის უფლებამოსილი პირი აბარებს უნივერსიტეტის მიერ დადგენილ შიდა გამოცდას მათემატიკაში ან ფიზიკაში;
- * პროგრამაზე მობილობა დაშვებულია შესაბამისი კანონით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

ექსპერტთა შეფასებით, უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს პროგრამაზე პირთა დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. ეს ზომები უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების მიღებას, რაც შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო პროგრამა - ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის საგანმანათლებლო მიზნები მოიცავს კვლევის ტექნიკას და შესაძლებლობებს, რომლებიც შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, პროგრამის სხვადასხვა საჭიროებას და ამ კრიტერიუმებს. შესაბამისად, მხედველობაში მიიღება დოკუმენტირებული, სისტემატურად გამოყენებული და ეფექტური პროცესი, რომელიც მოიცავს პროგრამის საგანმანათლებლო მიზნების, ისევე როგორც კვლევის უნარების პერიოდულ განხილვას პროგრამის ყველა ტექნიკურ სფეროში, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას უნივერსიტეტის მისიასთან, პროგრამის საჭიროებებთან და ამ კრიტერიუმებთან.

სტუდენტთა კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით, უნივერსიტეტი შეეცდება ითანამშრომლოს ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის სფეროსთან დაკავშირებულ რამდენიმე დაწესებულებასთან და ორგანიზაციასთან. თანამშრომლობა ითვალისწინებს ერთობლივი სამეცნიერო კავშირების დამყარებას სხვა დაწესებულებებთან ერთობლივი კვლევითი სამუშაოების განხორციელების მიზნით. გასაუბრების დროს დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ ამ დარგის სპეციალისტებზე დიდი მოთხოვნაა და განაცხადეს, რომ მზად არიან მიიღონ სტუდენტები სტაჟირებაზე/პრაქტიკაზე. სტუდენტებს ხელმძღვანელობას გაუწევენ კვალიფიციური/ გამოცდილი პირები და შეაფასებენ მათ საქმიანობას.

უნივერსიტეტში რეგულარულად ჩატარდება სემინარები ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის სასწავლო სფეროში უახლესი იდეების, ხედვისა და არსებული პრობლემების გაცნობის, ცოდნის გაღრმავების, კვლევის სფეროების პოპულარიზაციის, აზრის ჩამოყალიბებისა და გაზიარების მიზნით. ამ სემინარებზე დასწრებისა და მონაწილეობის შედეგად სტუდენტებს დამატებით ჩამოუყალიბდებათ დებატების კულტურა და შეძლებენ მტკიცებულებების წარმოდგენას საკუთარი პოზიციების დაცვის უნარის განვითარებისა და განმტკიცების მიზნით.

სტუდენტების კვლევითი უნარების გასაუმჯობესებლად გამოიყენება უნივერსიტეტის სხვადასხვა ობიექტი, მათ შორის ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის ლაბორატორიები. ამ მიზნით პროგრამის ძირითადი საგანია: კვლევითი ნაშრომი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს უვითარდებათ ინფორმაციის მოძიების, მისი ანალიზისა და დამუშავების, პრაქტიკული კვლევის განხორციელების, შედეგების ანალიზისა და დასკვნების ფორმირების უნარი. გარდა ამისა, სტუდენტები ხშირად მუშაობენ ისეთ თემებზე, რომლებიც პროგრამის აკადემიური პერსონალის კვლევის სფეროს წარმოადგენს.

დარგისთვის საჭირო თეორიული ცოდნის გარდა, საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. პრაქტიკული უნარების

განვითარება ხდება ინდივიდუალური კურსებით ინდივიდუალური ან ჯგუფური მუშაობის პრინციპზე დაფუძნებული პრაქტიკული ხასიათის პროექტების/ დავალებების შესრულებით, ასევე ლაბორატორიულ სამუშაოებში მონაწილეობით. ასევე, დასკვნითი საბაკალავრო ნაშრომით, რომელიც პრაქტიკული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული.

ექსპერტთა აზრით, პროგრამა სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას ან/ და მათ ჩართულობას კვლევით პროექტებში.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ერაზმუსის თანამშრომლობის არაერთი ხელშეკრულება. თუმცა, ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის სფეროში თანამშრომლობის ხელშეკრულება ჯერ არ არის გაფორმებული. ამიტომ, ერაზმუსის თანამშრომლობა ამ სფეროშიც უნდა განვითარდეს.

თუმცა, ენერგეტიკის დარგში მომუშავე კომპანიებთან არ არსებობს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ან ხელშეკრულება. გასაუბრებების დროს გაჟღერდა, რომ ასეთი კომპანიების თანამშრომლები მზად არიან ხელი მოაწერონ მემორანდუმებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გამოყვეყნებები ჟურნალებში;
- საბაკალავრო პროგრამა - ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უნივერსიტეტს ერაზმუსის ფარგლებში ფართო ურთიერთობა აქვს უცხოურ უნივერსიტეტებთან. ერაზმუსის თანამშრომლობა ასევე უნდა განვითარდეს ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის სასწავლო პროგრამებისთვის.
- სასურველია, გაფორმდეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების (ან ხელშეკრულებების) ენერგეტიკის სფეროს იმ დაწესებულებებთან, რომლებიც მიიღებენ ამ კონკრეტული პროგრამის სტუდენტებს.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება- სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს სწავლება- სწავლის სხვადასხვა მეთოდით. პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები შეესაბამება განათლების საბაკალავრო დონეს, კურსის/ კომპონენტის შინაარსს და ემსახურება კურსის/ კომპონენტის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. მათი გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში, მათ ინტერაქციას როგორც ერთმანეთთან, ისე პედაგოგებთან, და ისეთი კომპეტენციების განვითარებას, როგორცაა ავტონომიურობა, კრიტიკული მსჯელობა და ანალიტიკური უნარები.

პროგრამაში გამოყენებულია სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდი, ესენია: ვერბალური/ ზეპირი, წიგნზე მუშაობა, წერილობითი სამუშაო, დემონსტრირება, პრაქტიკული შემთხვევის ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), ინდუქციური, დედუქციური, ანალიზი, სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, კოლაბორაციული, ევრისტიკული, გონებრივი იერიში, მოქმედებაზე ორიენტირებული, ისტორიული, შედარებითი და სხვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო პროგრამა - ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია;
- შესაბამისი კომპონენტების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დადგენილი წესის მიხედვით და შეესაბამება როგორც გარე, ისე შიდა საუნივერსიტეტო კანონმდებლობას. სტუდენტების ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს როგორც მიმდინარე, ისე შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. თითოეულ სასწავლო კურსში სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 51 ქულა მაქსიმალური შეფასებიდან, რათა კურსი ჩაბარებულად ჩაითვალოს, ხოლო ყოველივე ზემოაღნიშნული დეტალურად არის აღწერილი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები კარგად იცნობენ შეფასების სქემას და კომპონენტებს, რაც დასტურდება სტუდენტებთან გასაუბრებით, ხოლო მოწვეული და აკადემიური პერსონალი აცნობს მათ შეფასების კრიტერიუმებს.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგანმანათლებლო ელექტრონული პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც სტუდენტები მუდმივად იღებენ სხვადასხვა სახის ინფორმაციას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტმა შეიძინა პლაგიატის გამოვლენის პროგრამა, რომლის მეშვეობითაც ხდება უნივერსიტეტის ფარგლებში შექმნილი ნაშრომების შემოწმება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულებაში ვიზიტი;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსი.

რეკომენდაციები:

○ -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ -
შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტების შეფასება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ-ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური, რომლის ფუნქციაა სტუდენტებისთვის საინფორმაციო მომსახურების გაწევა; სტუდენტისთვის სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიწოდება; კონსულტაციის გაწევა; სტუდენტთა განცხადებების მიღება და მათზე პასუხის გაცემა;

სკოლისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურებში სტუდენტთა სასწავლო პროცესში შექმნილი პრობლემების მოგვარება.

სტუდენტს შეუძლია მიიღოს საჭირო ინფორმაცია, კონსულტაცია და დახმარება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელისგან და საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელისგან, საჭიროების შემთხვევაში კი დეკანისგან.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტუდენტი პროგრამაში ჩარიცხვისთანავე ჩართულია შიდა საინფორმაციო ქსელებში. საორიენტაციო შეხვედრაზე მათ გადაეცემათ საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტა, რომლის საშუალებითაც ისინი სრულად არიან ინტეგრირებულნი შიდა საუნივერსიტეტო საინფორმაციო სივრცეში და დაუბრკოლებლად მიეწოდებათ ყველა სახის ინფორმაცია, რაც კი შიდა ქსელებში ვრცელდება. ამას ადასტურებს როგორც სტუდენტებთან ინტერვიუ, ასევე წარმოდგენილი ინფორმაცია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტში მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი სტუდენტური თვითმმართველობა, მისი როლი და მისია, რომელიც უნდა იყოს დამაკავშირებელი უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და თავად სტუდენტებს შორის, ასევე კავკასიის უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტების ეფექტური და ინტენსიური ჩართვა პროგრამის თვითშეფასების მომზადების პროცესში. უნივერსიტეტისთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტების ჩართულობის გაზრდა სხვადასხვა ქვეყნებთან გაცვლით პროექტებსა და ასევე საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში.

შესწავლილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე ექსპერტთა პანელი ასკვნის, რომ ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების, დასაქმების საკითხებში შესაბამისი კონსულტაციის გაწევისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობისთვის აუცილებელი მექანიზმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულებაში ვიზიტი;
- საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების დეპარტამენტის დებულება;
- კარიერული განვითარებისა და დასაქმების ცენტრის დებულება;
- სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახურის რეგულირება;
- სწავლების მონიტორინგისა და სტუდენტთა მომსახურების დეპარტამენტის დებულება;
- სტუდენტთა ომბუდსმენის დებულება.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს სტუდენტური თვითმმართველობის ცნობიერება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა საშუალებას იძლევა სათანადოდ განხორციელდეს სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო პროგრამა არ მოიცავს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2. მაგისტრანტთა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას და დასახული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში მოცემული მონაცემები აკადემიური პერსონალის შესახებ, როგორცაა აფილირებული და მოწვეული პროფესორების რაოდენობა, სხვა პროგრამას ეხება (კომპიუტერული მეცნიერება). დაუშვებელია თვითშეფასების ანგარიშში სხვა პროგრამის მონაცემების წარდგენა. თუმცა, რეალური მონაცემები წარმოდგენილია თანდართულ დოკუმენტაციაში. პროგრამის პერსონალის რაოდენობა წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁵	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁶	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	48	36	36	12
- პროფესორი	10	7	10	10
- ასოცირებული პროფესორი	3	2	3	1
- ასისტენტ-პროფესორი	1	0		1
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	35	25	25	0
სამეცნიერო პერსონალი				-

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას.

თვითშეფასების ანგარიშში პროგრამის ხელმძღვანელი დახასიათებულია, როგორც პროფესორი, რომელიც ეფექტურად ხელმძღვანელობდა უამრავ მაგისტრანტსა და დოქტორანტს საქართველოში, უნივერსიტეტში მუშაობის 12 წლის განმავლობაში. თუმცა, არ აქვს არანაირი ანგარიში "Scopus" –ისა და "Google scholar"–ს მონაცემთა ბაზებში. შემდგომი ძიება აჩვენებს, რომ "ResearchGate" –ზე მის პროფილში არანაირი ციტირება არაა მის ნაშრომებზე. გაუგებარია, ასეთი პროფილის მკვლევარი როგორ ხელმძღვანელობდა ბევრ მაგისტრანტსა და დოქტორანტს წარსულში.

არჩეული აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება აკადემიურ პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით.

პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულნი არიან პირები, რომლებიც მონაწილეობენ სხვადასხვა საჯარო დისკუსიასა და სამეცნიერო კონფერენციაში, ახორციელებენ ამ მიმართულებით ადგილობრივ პროექტებს, შესაბამისად, პროგრამას ჰყავს აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან შემდგარი გუნდი, რაც ქმნის წინაპირობას პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.

აკადემიურ წერას ასწავლის საგანმანათლებლო კურსის მასწავლებელი, რომელსაც აქვს განათლება და გამოცდილება ქართული ლიტერატურის სფეროში. თუმცა, ენერგეტიკისა

⁵ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

და ელექტროინჟინერიის სტუდენტებს ესაჭიროებათ ლექტორი, რომელიც იცნობს დარგობრივ ტერმინოლოგიას და ასევე ინგლისურ ტექნიკურ ტერმინებს.

აკადემიური პერსონალის CV-ების განხილვის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ მათი კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში დაწერილი სამეცნიერო ნაშრომებით. ის ძირითადად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. მაგრამ პუბლიკაციების დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია ეროვნულ ჟურნალებში. ამავდროულად, საჭიროა განვითარდეს მეცნიერების ინტერნაციონალიზაცია, განსაკუთრებით, ტექნიკური მეცნიერებების სფეროში. ამიტომ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რაც შეიძლება მეტი პუბლიკაცია უნდა გამოქვეყნდეს კვლევით ჟურნალებში, რომლებიც ინდექსირებულია საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში. მოწვეული პერსონალის CV-ების განხილვის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ მათი კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი ცოდნით, გამოცდილებით და კომპეტენციებით, რომელიც აუცილებელია, რათა სტუდენტებმა შეძლონ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა.

სტუდენტების კონსულტაციისთვის გამოყოფილი საათები გათვალისწინებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვაში. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა სტუდენტთა მოსალოდნელი რაოდენობის ადეკვატურია;

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო პროგრამა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პერსონალური მონაცემები;
- აკადემიურ და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის წესები;
- სკოლის რეგულაციები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- „აკადემიური წერის“ კურსის სწავლებისთვის აუცილებელია ენერგეტიკისა და ელექტროსაინჟინრო ტერმინოლოგიის და ასევე შესაბამისი ინგლისური ტექნიკური ტერმინოლოგიის მცოდნე ლექტორი.
- აკადემიურმა პერსონალმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სამეცნიერო პუბლიკაციებს. მნიშვნელოვანია პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიური პერსონალმა ნაშრომები გამოაქვეყნონ ისეთ კვლევით ჟურნალებში, რომლებიც ინდექსირებულია საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1. ადამიანური რესურსები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრატურასა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო პროგრამა არ მოიცავს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➤ უსდ ახორციელებს პროგრამის პერსონალის შეფასებას და რეგულარულად აანალიზებს შეფასების შედეგებს.

➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი. იგი აგროვებს და აახლებს ინფორმაციას კავკასიის უნივერსიტეტის ინსტიტუციური კუთვნილების ფარგლებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების შესახებ. ასევე, აგროვებს ინფორმაციას ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებში (ძირითადად, სსიპ – შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდში) უნივერსიტეტის სახელით წარდგენილი კვლევითი პროექტების შესახებ. 2019 წლის იანვრიდან კავკასიის უნივერსიტეტი საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებთან და საქართველოს განათლების, მეცნიერების, ახალგაზრდობის კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან დაქვემდებარებულ სსიპ-ებთან ერთად მონაწილეობს Erasmus + ის ფარგლებში დაფინანსებულ ორწლიან პროექტში - „საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევითი შესაძლებლობების ამაღლება კვლევისა და განვითარების გზით/HERD“, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტი ფლობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ შესრულებული კვლევითი საქმიანობის ანალიზის პროგრამას.

უნივერსიტეტის ბიუჯეტი მოიცავს განვითარებისა და კვლევის მიმართულებებს. კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა.

უნივერსიტეტის მმართველმა საბჭომ დაამტკიცა კვლევითი საქმიანობის შიდა დაფინანსების წესი, რომლის მიხედვითაც, წელიწადში ორჯერ - დეკემბერსა და ივნისში ცხადდება კვლევითი პროექტების მიღება უნივერსიტეტის შიდა დაფინანსების მოსაპოვებლად. ასეთი დაფინანსება მოიპოვებს აკადემიური პროგრამის მონაწილეებმა.

2019 წლიდან, კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისთვის იმართება საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები, კვლევისთვის საგრანტო დაფინანსების მოპოვების ფორმალური მხარისა და კვლევის შედეგების გავრცელების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

სკოლის აკადემიური პერსონალი რეგულარულად მონაწილეობს Erasmus+ მობილობის პროგრამებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კითხვარი აკადემიური პერსონალისთვის;
- საერთაშორისო მობილობის სტატისტიკა;
- მემორანდუმები, ხელშეკრულებები.
- კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ გაწეული სამუშაოების შესახებ ანგარიშები;

- მონაწილეობა Erasmus + ის ფარგლებში დაფინანსებულ ორწლიან პროექტში - „საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევითი შესაძლებლობების ამაღლება კვლევისა და განვითარების გზით/HERD;
- კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი და პროცედურა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია საერთაშორისო პროექტების ფარგლებში გამართული შეხვედრების/ღონისძიებების შესახებ: <https://www.cu.edu.ge/ka/news-page>

რეკომენდაციები:

○ -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ -
შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსები

პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სვეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად უნივერსიტეტს აქვს კომპიუტერები შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფითა და ინტერნეტით, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი მოწყობილობებით (მულტიმედია პროექტორი, კომპიუტერი, აუდიო-ვიდეო აპარატურა და სხვ.) და სასწავლო ინვენტარით (თეთრი დაფა, მაგიდა, სკამი).

უნივერსიტეტის ხელთ არსებული წიგნები და ელექტრონული რესურსები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ბიბლიოთეკის

ელექტრონული და ბეჭდური რესურსებით სარგებლობა შეუძლია უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს და აკადემიურ პერსონალს.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული მასალები. ბიბლიოთეკას აქვს სამკითხველო დარბაზი. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და შემდეგი საერთაშორისო ელექტრონული რესურსებით: EBSCO HOST; ScienceDirect; Scopus; Sci-val Funding (Funding Institutional); HeinOnline; Taylor and Francis; Math Scientific Publishing (MSP)-Journals.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს საინჟინრო ლაბორატორიები, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ლაბორატორიები არ არის სათანადოდ აღჭურვილი. უნივერსიტეტს არ აქვს ენერგოსისტემებთან და ენერგეტიკულ ელექტრონიკასთან დაკავშირებული ლაბორატორიები. არსებული ლაბორატორია აღჭურვილია მხოლოდ კომპიუტერებით და რამდენიმე მოწყობილობით, როგორცაა ელექტროენერჯის ჩვეულებრივი წყაროები და მულტიმეტრები. არ არსებობს ლაბორატორიული სამუშაოს აღწერილობა, რომელიც შეიძლება სტუდენტებმა შეასრულონ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის მატერიალური და ტექნიკური რესურსები;
- საერთაშორისო და აკადემიურ ბიბლიოთეკებზე წვდომა;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი;
- ვიზიტი ლაბორატორიაში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- ლაბორატორიული აღჭურვილობის ბაზა საჭიროებს გაუმჯობესებას, განსაკუთრებით ელექტრო მანქანების ლაბორატორია და ქარისა და მზის ენერჯის ლაბორატორია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4. მატერიალური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის შემოსავალს და ხარჯებს. პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სტუდენტებისგან მიღებული შემოსავალი და სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯი. ასევე, პროგრამის ბიუჯეტში გამოყოფილია „უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდი“, რომელიც ემსახურება პროგრამის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯის დაფარვას სტუდენტების მინიმალური რაოდენობის შემთხვევაში. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში პროგრამული ბიუჯეტის კორექტირება ხდება ცვლილების მიხედვით. პროგრამულ ბიუჯეტს ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი, რაც დასტურდება ბრძანებით, რომელსაც თან ერთვის პროგრამული ბიუჯეტის კალკულაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტთან

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. შესაბამისი მონაცემები გროვდება, ანალიზდება და გამოიყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის განსავითარებლად.

5.1. ხარისხის შიდა შეფასება

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების და შეფასების პროცესის განხორციელებისას პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა დეპარტამენტ(ებ)თან/პერსონალთან. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებია საგანმანათლებლო საქმიანობის მუდმივი გაუმჯობესება და ხარისხის კულტურის ამაღლება. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტმა შეიმუშავა რამდენიმე რეგულაცია და ჩარჩო, რომლებიც დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განვითარებასთან, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების გადახედვის პროცედურა და პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ზრუნავს სამეცნიერო კვლევის პროდუქტიულობის, სწავლებისა და სწავლის პროცესის, ასევე არსებული მექანიზმების ეფექტურობის შეფასების საკითხებზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს „დაგეგმე, გააკეთე, შეამოწმე, იმოქმედე“ (PDCA) ციკლის შესაბამისად და შემდეგნაირად მუშაობს: (1) პროგრამის შემუშავება და დამტკიცება; (2) სასწავლო გეგმის მიხედვით განხორციელება; (3) მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი და ა.შ.); (4) შედეგების განხილვა და პროგრამის კორექტირება.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი და სკოლები ჩართულნი არიან საგანმანათლებლო საქმიანობის უწყვეტი მონიტორინგის პროცესში. მონიტორინგი ძირითადად ხორციელდება სამიზნე ჯგუფების გამოკითხვით და სესიებზე სისტემატური დაკვირვებით.

გამოკითხვის ფორმები მოიცავს ისეთი საკითხების შეფასებას, როგორცაა - საგანმანათლებლო პროგრამებით კმაყოფილება, სწავლის შედეგები, მართვის

პროცესების შეფასება, ინფრასტრუქტურა, განვითარების საჭიროებები, აკადემიური პერსონალის შეფასება და ა.შ. მიღებული ინფორმაციის შედეგების საფუძველზე ხდება მონაცემების დამუშავება, გამოიკვეთება ძლიერი და სუსტი მხარეები, აისახება პრობლემები და შეირჩევა მათი გადაჭრის გზები. უნივერსიტეტმა წარმოადგინა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ჩატარებული რეგულარული კვლევების ანალიზი, ასევე პროგრამის შემუშავებაში ჩართული ჯგუფების სისტემატური შეხვედრების ანგარიშები.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი რეგულარულ კონსულტაციებს უწევს აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებით.

თვითშეფასების ანგარიშიდან და აკრედიტაციის ექსპერტთა პანელის მიერ ჩატარებული ინტერვიუებიდან შეიმჩნევა აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში.

დამსაქმებლების ჩართულობა დადასტურდა ინტერვიუებით, რამდენადაც პროგრამების პირდაპირი და მთავარი დამსაქმებელი საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა, ასევე საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი და სხვა კერძო ორგანიზაციები, რომლებიც პროგრამაში ასევე ჩართულნი არიან როგორც აკადემიური/ მოწვეული პერსონალი. მათ მეტად ღირებული წვლილი შეაქვთ პროგრამების განვითარებაში. ამ პროცესში აშკარად გამოიკვეთა ადმინისტრაციული პერსონალის წვლილი და ჩართულობა.

უნივერსიტეტში პროგრამების განვითარებისა და სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ ტარდება სხვადასხვა ღონისძიება და ტრენინგები.

გარდა ამისა, უნივერსიტეტმა მიიღო დებულება აუცილებლობის შემთხვევაში დისტანციური სწავლების პროცესების მონიტორინგისთვის.

რომ შევაჯამოთ, უნივერსიტეტში კარგად არის ჩამოყალიბებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და ზოგადი ხარისხის კულტურა უნივერსიტეტის საქმიანობის განუყოფელი ნაწილია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გაფართოვდეს სტუდენტების/ კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1. ხარისხის შიდა შეფასება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2 ხარისხის გარე შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს ხარისხის გარე შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი რეგულარულად იყენებს გარე შეფასების ინსტრუმენტებს პროგრამული აკრედიტაციისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში. უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. ავტორიზაციის/აკრედიტაციის დროს განხორციელებული გარე შეფასების გარდა, უნივერსიტეტი თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო დაინტერესებულ მხარეებთან და დარგის ექსპერტებთან პროგრამების შესაფასებლად. კერძოდ, ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა შეფასდა ორი გარე ექსპერტის მიერ. მიმოხილვა ყოვლისმომცველია და პროგრამის საერთო შეფასება დადებითია.

გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტმა ჩაატარა შედარებითი ანალიზი, საუკეთესო პრაქტიკის გამოსავლენად; მათ პროგრამასა და საერთაშორისო მასშტაბით არსებულ პროგრამებს შორის მსგავსებებისა და განსხვავებების დასადგენად. ამ ანალიზის საფუძველზე მოხდა გარკვეული გაუმჯობესება (ზოგიერთი მოდულის დამატება/გამოკლება) პროგრამის შინაარსსა და სტრუქტურაში.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს დამოუკიდებელი ერთეული, საერთაშორისო აკრედიტაციის სამსახური, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებას და საერთაშორისო სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დაცვას. ეს ძალისხმევა მიზნად ისახავს მოცემული პროგრამების ინტერნაციონალიზაციას და ცნობადობის გაზრდას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- გარე შეფასებები – დარგის ექსპერტების ანგარიშები;

- გასაუბრების შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://www.cu.edu.ge/en>

რეკომენდაციები:-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. ხარისხის შეფასება	გარე X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ტარდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მონაცემთა სისტემატური შეგროვების, შესწავლისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შესახებ ინფორმაცია და წესები განთავსებულია პროგრამის დებულებაში, კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, განსაზღვრულია პროგრამის ინიცირების, დამტკიცების, მოდიფიკაციისა და პერიოდული შეფასების პროცედურები.

თითოეული პროგრამისთვის ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილება სკოლის კოორდინატორებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან ერთად პასუხისმგებელია პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევის შეფასებაზე/ანალიზზე. შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდება პროგრამის შედეგების შეფასება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით.

შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდები გულისხმობს სტუდენტის აკადემიური მოსწრების შეფასებას.

შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი მოიცავს პროგრამით დაინტერესებული ყველა მხარის დამოკიდებულების შესწავლას: ა) სტუდენტების; ბ) პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის; გ) დამსაქმებლების; და დ) პროგრამის კურსდამთავრებულების. პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება კითხვარების გამოყენებით, რომელთა მიზანია: ა) სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო კურსების ან/და პროცესების ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში შეფასება; ბ) სტუდენტების კმაყოფილების შეფასება.

ამ უკუკავშირის სინთეზირებას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომელიც აყალიბებს დასკვნებსა და რეკომენდაციებს. ეს დასკვნები შემდგომ განიხილება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან. დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ხორციელდება პროგრამის მოდიფიცირება ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიმდინარე ზედამხედველობის ქვეშ. აკრედიტაციის ექსპერტთა პანელი მიიჩნევს, რომ ეს პრაქტიკა სასარგებლოა სწავლის შედეგების მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- გამოკითხვის შედეგები და ანგარიშები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს კავკასიის უნივერსიტეტი

უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური: ბაკალავრიატი

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

შეფასება სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამი შესაბამისობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

საოლიუს ვასარევიჩიუსი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ავთანდილ თავხელიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამთა ლევიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ვაჟა კელიხაშვილი